

ዶክተር አብይ

ବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ



ნოდარ კოგერიძე

შემოსილი

თბილისი
2018

წიგნი „პირმშო“ ერთგავარი შეჯერებაა ქარველ მწერალთა ვიზიტისა ისრაელში. აქ მღელვარების გარეშე ვერ წაიკითხავთ, ქართველი და ებრაელი საზოგადო მოღვაწეებთა და „გულთა კავ-შირს“ შეხვედრას დიდ შოთა რუსთაველის ფრესკასთან, როდესაც რუსთაველს მისი ვეფხისტყაოსანი „გადაეცა.“ აქაა ერთგვარი ქედის მოხვრა, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ჯემალ აჯიაშვილთან, მის საფლავთან როს გაიმართა. საუბარია სქართველოს სახელმწიფოს საელჩოში გამართულ მილებაზე. აქაა ბეთლემი, მდინარე იორდანე, გოლგოთის კარიბჭე, გოდების კედელთან ქართველთა ჩათქმა და ცრემლნარევი გამომშვიდობება. წიგნში ცალკეა გამოყილი ეგვიპტური მისტიკის გამოვლინებანი და მათი ახსნა ავტორისეული მწერლური რაკურსით.

რედაქტორი
დამპაპადონიერებელი

გიორგი კობერიძე
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-8-0378-9

პირველი

ებრაელი ერი ერთადერთია ქართველთა მიერ იმ მრავლად შეფარებულ ერებიდან ვისაც შემდგომ ჩვენთვის სამშობლოს წართმევა არ უცდია! ის ერთადერთი ერია, რომელმაც ქართული მშობლიურ ენად გაიხადა და გვარებსაც ქართული დაბოლოვება მისაც, თუმცალა ამას არავინ აძალებდა და ერთდერთი ერია იმ შეფარებულ ერთაგან რომელსაც არასოდეს არ უღალატია საქართველოსთვის და ციხის კარიბჭე ღამე ქურდულად არ გაუღა მტრისთვის. აი სამი იპოსტასი რომელმაც შექმნა მონოლითი-ქართველთა და ებრელთა ძმობას მტლად როს დაედო!



პროლოგი-ამბავი აღთქმულ მიწაზე ჩასვლისა და ფანტასმა-გორის დაწყებისა!

მინდა ასე დავინუ ამბავი ესე გასაოცარი და მას სამადლობელო ბარათს ვარქმევ! მაშ ასე-ისრაელის საზოგადოებრივი ორგანიზაციის "გულთა კავშირის" წევრებს, ბატონებს-აბრა-ჰამ პაატა-იოსებს (საზოგადოების პრეზიდენტს), ქ-ნ ნანა დავარს (შაბათაშვილს), შალვა წინუაშვილს, ნუგზარ ჯანაშვილს, რობერტ ადარს (აჯიაშვილი) ეს ორნი ნუგზარ ჯანაშვილი და რობერტ ადარი საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო წევრები და მისი დესპანები არიან და მათ მეგობარს მერაბ მიხ-

ელაშვილს, უღრმეს მადლობას ვუძღვნი იმ მართლაც და გასა-ოცარი მიღებისათვის, რომელიც თქვენ მოგვიწყვეთ (ქართვე-ლი მწერლების დელეგაციას) 16-23 აპრილს ისრაელში ვიზიტს დროს. ეს იყო მართლაც და სპექტაკლი, დიდებული სპექტაკლი მეგობრობისა და ვამაყოფთ ამით. მე, ამ ერთკვირიან ვიზიტს ხა-ტოვნდ „სტუმრდ ახალი ცივილიზაციათა პირმშოსთაა“ შევარევი - და დაგვერწმუნეთ იმაში, რომ ამ ვიზიტის ყოველი ნიუანსი თა-ნამიმდევრულად, დღეთა მიყოლებით ეცოდინება საქართველოს საზოგადოებრიობას და მათი გულებიც გაიხარებენ იმით, გაიხ-არებენ იმით თუ რაოდენ კოლოსალურია ქართველი და ებრაელი ხალხის რიტმული გულის ძერა!. ეს იყო დაუკიწყარი ფიესტა და გვინდა უღრმესი მადლობა გითხრათ თქვენ, ასეთი გულმხურ-ვალე სიყვარულისთვის, რომელიც დაგვერწმუნეთ უპასუხოდ ვით დარჩების და იგი ასახვას ჰპოვებს ჩვენს არსში მთელის "ანი-დან ჰომდე"! მაშ მოემზადოს მკითხველი საზღაპრეთში მოგზაუ-რობისათვის, ჩვენ კი პირობას ვდებთ მისხალს არ დავაკლებთ იმ შვიდიან „განავარდებას - ერთგვარად მისტიკურ სამყაროში! „

ვიზიტისას ქართულ მწერლობას წარმადგენდნენ: - ბალათ-ერ არაბული-საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე, ვლადიმერ მაიაკოვსკის საერთაშორისო, გალაქ-ტიონ ტაბიძის და ტიციან ტაბიძისა და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და ნოდარ კობერიძე - მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. “ ილია ჭავ-ჭავაძის“, „ნიკო ნიკოლაძისა“ და „ნიკო ლორთქითანიძის“, „და-ვით აღმაშენებლის სახელობის“ პრემიათა ლაურეატი.

დელეგაციაში შედიოდა აგრეთვა ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი, სახალხო მთქმელი, ბარდი და აშული ბატონი კოტე თავართქილაძე. ისრაელში შემოგვიერთდა აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ქალბატო-ნი ლეილა ნოდია

დელეგაციას გზა დაულოცა ისრაელის ელჩმა საქართველო-ში შაბათაი ცურიმ, რომლის საქართველოში მოღვაწეობა ერთ-გვარი აღორძინება გახადა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გან-ვითარებაში

თაქა-პირველი



ნათქვამია პირველი შთაბეჭდილება გადამწყვეტიაო, რას არ გაიგებდით ისრაელში სტუმრად ჩასულ ჩვენს მოქალაქეებზე, ებრაელი მებაჟები და პოლიციელები ისე ექცევიან როგორც პირუტყვებსა და ველურებსო და ლამის საბუთების შეუმოწმებლად გამოკეტავენ ერთ ნესტიან ოთახში უკან დასაბრუნებელ ბილეთს თავის ხარჯზე აღებინებენ და მერე ვითომცა მგლების ხროვას ისე ყრიან ქვეყნიდანო. არ დაგიმალავთ ოდნავ ვლელავდით, როდესაც თელ-ავივის ბენგურიონის სახელობის აეროპორტში, საპასპორ-

ტო კონტროლის წარმომადგენელს პასპორტებს როს ვუნვდიდით და ჰოს საოცრებავნინ ღიმილის ყვავილზარის მინდვრის ხალიჩა გადავვეშალა! რა ჩხრეკა, რა გამოკითხვა, რა საბუთების გაძლიერებული კონტროლი, უბრალოდ მიგვანიშნეს გასასვლელისკენ. როგორც ძვირფას სტუმრებს ისრაელში ჩამობრძანებულებს, მართლაც-და "ალიბაბას ყაჩალთა პაროლის" გარეშე გაიღო მო-





მართლაც “გულთა კავშირის” შეხვედრა - ძმებთან. აეროპორტიდან ხელი-ხელ ჩაჭედილნი გამოვედით და მანქანებს მივაშურეთ. დავბინავდით სასტუმრო ”ბათ-იამში”, ნომერში, მაგიდაზე უხვად გახლდათ ათასგვარი ნუგბარები მიმობნეული. შუა ღამე გარდასულს დავემვიდობეთ და თან შევთანხმდით, ხვალინდელი დილა დიდ შოთა რუსთაველთან ”შეხვედრით” დაიწყებოდა და ამის მომსმენს



საცდელის კარიბჭე და... და დაიწყო ერთკვირიანი სრბოლა ძმობისა!

პირველი რამაც მთელს ტანში დამაურიალა ბალათერისა და მისი 16-წლის უნახავი დის ქალბატონი ეთერის შეხვედრა გახლდათ. ამან განწყობის რენომე საოცრად აამაღლა და დაიწყო




რაღა დაგვაძინებდა მით უმეტეს რომ ზღვა 30 ნაბიჯიდან ჩვენს ფანჯარს აღელვებული უყვებოდა ამ გმირი ქვეყნის ისტორიას.

17-აპრილი, თქმა მეორე



ადრიანად ვდგებით და "იერუშალამის ჯვრის" მონასტრისკენ ვიღებთ გეზს, მთელი "გულთა კავშირი" თან გვახლავს. ყოველ განვლილ კილომეტრზე გული უფრო და უფრო ძალუმად ძეგრს და აი ჯვრის მონასტრის შესასვლელთან აღმართული მემორიალიც გამოჩნდა! დროშებს დიდი რუსთველის ანფასი რომ ამშვენებთ, ამაყად აფრიალებულა, ჯვრის მონასტრის შესასვლელთან. უნებლიერ გიორგი ბრწყინვალე მახსენდება-მთელს, ქრისტიანულ სამყაროში ქართველები ერთადერთნი ცხენდაცხენ გაშლილი დროშებით ამაყად როს შედიოდნენ იერუსალიმს, ერთგვარმა ამპარტავნობამ შემიძყრო! მემორიალთან ვიკრიბებით, ხელთ მურმან თავ-





დიშვილის ვეფხისტყაოსნის პირველი სრულყოფილი გამოცემა (გამომცემელი საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი), მიჭირავს და ლამის გულთ ვიხუტებ. თვალნი სხვაგვარად მენთებიან, ყელშიც თითქოს რაღაცა მეხერგება და დიდებულ ტაძარ-სიმაგრეში შევდივარ. ნუგზარ ჯანაშვილი მიხვდება გულის ნადებს და იმ ფრესკისკენ მიმაქანებს შოთა რუსთველის სახელი რომ ჰქვია. პათოსით სათქმელ სიტყვას, ემოციები, ერთბაშად მოვარდნილ მეწყერივით ხორხს კაშხალივით ჭედს! ხმა მეკარგება, ნუგზარ ჯანაშვილი მიდგება გვერდში და ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილ თავის სტრიქონებს კითხულობს. ემიგრანტებთან შესანიშნავ პოეტებთან: ეკა ქურხულთან და მარიამ გიგაურთან ერთად სურათს ვიღებ. მერე კი... სამარისებული სიჩუმე, რობერტ ადარი და შალვა წიწუაშვლი ანთებულან და მე ვიკრებ



გამბედაობას და მგონი პირველად პოემის ისტორიაში, პოეტს სტამბური წესით დაბეჭდილ მის მიერ შექმნილ ქმნილებას, "ვან-ვდი" და ისიც ასე მგონია სიხარულით ღებულობს საჩუქარს, მას ხომ დღემდე თავისი უკვდავი პოემა ნაპეჭდი სახით აროდეს უხილავს! ნუგზარ ჯანაშვილიმა სასწრაფოდ სკამი მოართვა და ზედ მოვასვენეთ "ამბავი ტარიელისა", ჩამესმის რობერტ ადარის, აბრაჟამ იოსების და დიდებული მეცნიერისა და საზოგადი მოღვაწის (რომლის თაოსნობით ისრაელში გამოიცა ქართველ ებრაელ პოეტთა ანთოლოგია და ახლა პროზის ანთოლოგია მზადდება გამოსაცემად) შალვა წინუაშვილის მდუმარე ჩურჩულნი. ვეფხისტყაოსნის ეს ეგზემპლარი კი რაზეა ლაპარაკი ის სამუდამოდ რჩება ამ სავანეში ავტორთან - დიდ შოთა რუსთაველთან და საერთოდ, როგორც ვიცით ჩვენამდე ვეფხისტყაოსანი არავის აროდეს არ მოუტანია აქ და რა თქმა უნდა არც დაუტოვებია- არადა ვინ იცის შოთას ტანჯული სული რამდენი საუკუნე ელოდა ამ წამს და ახლა როგორც იქნა იხილა

იგი, წიგნად გაცოცხლებული თავისი უკვდავი ქმნილება და ჩვენ მის ჩამომავალთ გვეამაყება, რომ ეს საპატიო მისია ვიტ-ვირთვეთ და შევასრულეთ კიდეც! როგორც იქნა აღსრულდა რაც აქობამდე უნდა აღსრულებულიყო! ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია სანთლები ავუნთოთ უკვდავს და ასე მდუმარედ დავტოვოთ ყველა ქართველის სათაყვანებელი სანუკვარი სავანე. გეზს ჯემალ აჯიაშვილის სასაფლაოსკენ ვიღებთ, რათა სამარდჟამო მადლობა ვუთხრათ დიდ ქართველ-ებრაელს ჯემალ აჯიაშვილს სამუდამო განსასველებელში და ისიც არ გვავინყდება ქედი მოვუხაროთ კაცს, რომლის ცხოვრების წესი ქართველთა და ებრაელთა სამუდამო სულიერი ნათესაობის აღიარება გახლდათ!



სსოვენის დღე! თქმა მისამა




გათენდა 18 აპრილი- დღე, რომელიც ყველა ებრაელისათვის წმინდათა-წმინდა დღე! ამ დღეს ისრაელის სახელმწიფოში პატივს მიაგებენ სამობლოსათვის თავ-განწირულ ვაჟკაცებს.

საერთოდ უნდა ითქვას რომ ებრაელ ხალხს განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრიობისადმი. მათ გულზე მჯიდის დარტყმით კი არ უყვართ თავიანთი სამშობლო, არამედ ბოლომდე აქვთ გასიგრძეგანებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც სახელმწიფო ყოფას თან სდევს. ექვსმა მილიონმა ებრაელმა იმიტომ კი არ შეაბიჯა კრემატორიუმში, რომ მერე ვიღაც ვიგინდარას ანეკდოტად აეგდოთ იგი და "ელადავა"- ვყიდი ჩემს წილ სამშობლოსო-ეს როგორც ჩვენთან ხდება, არა, არა და არა! თვითოეულ მათგანს სისხლში აქვს გამჯდარი, რომ თუკი ებრაელ ერს არსებობა უნდა, მაშინ ისიც უნდა ახსოვდეთ მარად, რომ ისრაელის სახელმწიფოებრიობაა მათი არსებობის გარანტია(!) და დამერწმუნეთ ეს მათ კარგად ესმით. ზუსტად 11 საათზე გაისმა სირენის ხმა და მთელი ისრაელი ორი წუთით დადუმდა, მანქანებიდან მძღოლებიც გადმოვიდნენ და გამეშებულებმა პატივი



მიაგეს გმირთა ხსოვნას. შევყურებდი მათ გაქვავებულ სახეებს და გული თან მეთუთქებოდა და თან სიამაყით მევსებოდა.... მორჩა, ამ საკითხზე აღარ განვევრცობი, რომ იტყვიან,, გამგები გაიგებს და ვინც ვერ გაიგებს იგი ჭირსაც წაუღია! 12 საათზე საქართველოს საელჩოში გველოდნენ, დიასახლისის საპატიო მისია ნოდარ დუმბაძის ქალიშვილს მანანა დუმბაძეს ეკისრა და უნდა ითქვას მან თავი შესანიშნავად გაართვა ამ მისიასა და არც ელჩის ბატონ პაატა კალანდაძეს დაუკლია ყურადღება. დიალოგი საქმიანი გამოვიდა დაისახა თანამშრომლობის გეგმები, რომელთაც მხარში ამოუდგება, "გულთა კავშირის" წევრები, ერთი სიტყვით მოვლენებს რომ არ გავასწროთ გეგმები დიდია და სერიოზული, დასარულს მასპინძლებს არც სტუმარ-მასპინძლობის წესი დავიწყებიათ და ასე მშვიდად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.. ისრაელი კი საზეიმოდ ემზადეოდა, რადგანაც საიუბილეო თარიღი ახლოვდებოდა ისრაელის სახელმწიფოს არსებობის 70 წელი უსრულდებოდა და ჩვენც სიიამოვნებით შევუერთდით ამ ჭეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულს!



პათლიაშვილის სალამო თქმა მეორთხე



ბეთლემი პალესტინის ტერიტორიაზეა და იქ ჩვენ წაყვანას დიდი ვაჟკაცობა უნდოდა და ჩვენი მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს გაბედეს. ბეთლემის ღვთისმშობლის ეკლესია იმ ადგილზეა აშენებული სადაც ქრისტე იშვა. საკმაოდ დიდი აღმართი იყო ფეხით ასასვლელი და ალბათ ვერც ავივლიდი, რომ არა ქალბატონი ლეილა ნოდია, მის შემწეობით შევძელი ამ აღმართის ავლა. უნდა ითქვას ქ-ონ ლეილას რომ არ ეყოჩალა საკმაოდ ბევრს დავკარგავდი, ამ უცნაური საეკლესიო ნაგებობის ნიმუშზე, აქ თავს მართლაც იმ გარემოში გრძნობ სადაც ქრისტე უნდა შობილიყო. დიდი ხანი არ გავჩერებულვართ მალევე ავიყარეთ გუდა- ნაბადი და მივაშურეთ იმ ადგილს სადაც გველოდნენ. ბათ-იამში მობრუნებულებს ქალაქი სრულ სამზადისში დაგვხვდა სახელმწიფო ემზადებოდა დიდი ზეიმისთვის. პორტში ვისამხრეთ და თითო კათხა შესანიშნავი ლუდიც შევსვით, ისიც უნდა ითქვს მთელი ეს ხანობა თავს მევლებოდა ბალათერის და ქ-ნი ეთერი და პატრა კრიზისი მათ გადამატანინეს. მერე კი დაიწყო, ისრაელი გულწრფელმა ზეიმა მოიცვა და ეს ბედნიერი ფესტივალი გათენებამდე გაგრძელდა, ჩვენ კი დილით...

„ნეინდა გიორგის“ - საფლავის მცველი თქმა მახუთა!



ლუდისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც უდაბნოს ყვავილნარია და სხვა არაფერი და რომლის ყოველ ბუჩქი ცალკე მიყვანილი მილით ირწყვება ერთი პირველთაგანი საოცრებაა. ჩვენ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისკენ მივემართებით, ეკლესიისკენ რომლის წიაღში დასვენებულია წმინდა გიორგის ნეშტი იმ ჯაჭვთან ერთად, რომლითაც იგი დაბმული აწამეს და ღელვა,

ალბათ მხოლოდ ქართველთათვის დამახასიათებელი ღელვა გვეუფლება-წმინდა გიორგი ხომ ქართველთათვის



უპირველე-სი წმინდა-ნია. ოდნავი თრთოლვით შევაბიჯებთ

ტაძარში და სიღრმიდან თეთრი მარ-მარილოს საფლავის ქვა გვჭრის თვალს. მოწინებით შევდივართ ფლი-გელში, კუთხეში ახალგაზრდა კაცს ვამჩნევ, რომელიც თავს დაფოფინებს საფლავს. ბალათერ არაბული იმ ჯაჭვს იკეთებს კისერზე, აქეთ-იქიდან მე და



კოტე თავართქილაძეც "ვბოჭავთ" და ბალათერიც ასე ემთხვევა საფლავის ქვას. მე კი იმ ახალგაზრდა კაცს გამოველაპარაკე, ქართველი აღმოჩნდა, მალე საერთო ნაცნობები გამოგვიჩნდა და დიალოგიც შედგა. თემურ ქობალავა ამ ვაჟკაცის სახელი და გვარი, ბათუმელია და აი უკვე მეოთხე წელინადია მითიური "გრაალის მცველივით" იცავს საფლავს, იცავს და უვლის, უვლის ვითარცა მორნმუნე მონა მას და ცივ სიოსაც არ აკარებს. კიდევ სულ ცოტა ერთი წელი დავრჩები წმინდა გიორგის საფლავის მცველად და მერე ალბათ სხვა შემცვლისო-ამბობს წელგამართულირაინდი, შუა საუკუნეებში რომ გაბრუნებს და მისი შემხედვარე რწმუნდები ვიდრე ქართველებს მსგავსნი "მცველნი" ჰყავთ მათ გადაშენება ვით უწერიათ. მინდა გადავეხვიო ამ "სულსა მალალს", მაგრამ მონიწებით თავს ვიკავებ. ერთად სადილზე გვთანხმდება, მერე დიდხანს ვლაპარაკობთ საქართველოს ისტორიაზე, მის პირველ მცველზე და ბოლოს სანთლებს ვანთებთ, გადახვეულნი ვემშვიდობებით. მოვდივარ და მომაქვს ძალა, ძალა, რომელიც ქართველებს უნდა გავუზიარო და ვუთხრა მათ -ნუ გეშინის ქართველნო შენი გმირის უკვდავი სული კარგადაა დაცული და საჭირო დღეს იგი წამოიმართება და ვითარცა დიდგორზე კვლავაც წარუდღვება ქართველებს გამარჯვებისაკენ! მაშ გამარჯვებით საქართველოვ, მაშ გამარჯვებით!



მდინარე იორდავე და სტუმრად არაითეატორთან თქმა მეექვსე



"ძველები" რომ იტყოდნენ, ლამის მზის ამოწვერვისას დავადექით თავს, ვის? ამას წამს მიხვდებოდა კაცი სისხამ დილით გაშლილ სუფრის არქიტექტონიკას, როს შეავლებდით თვალს. დიახ ჩვენ სტუმრად ცნობილ არქიტექტორს აბრაჟამ პაატა, იოსებს(იოსებაშვილს) ვენვიეთ, რომელსც "გემის კაპიტნობა" უნდა ეთავა და ეს ერთ მუშტად შეკრული "გულთა კავშირი" და მისი სტუმრები მდინარე იორდანეში "უნდა განეხანა! ოღონდ მანამდე.... ვერანდაზე გაშლილ მაგიდას "სისსხამ დილის" სუფრას რომ ეძახიან, რომელსაც თვით ყოველის მქონენი ხელმწიფეც

კი ვერ უპოვნიდა წუნს შემოვუსხედით! ბატონი პაატა, მისი მეუღლე და ოჯახის წევრები რათა თავისუფლად გვეგრძნოთავი, პირთ-ღიმილსროდი იშორებშენ და თავს გვევლებოდნენ... "ქართულმა სუფრამ" როგორც წესი "დროზე მეტი" გაქაჩა და მანამ ერთერთ ჩვენთაგანს არ "მოუვიდა აზრად" ჩვენი ჩამოსვლის მიზანი "აშლა" აღარც გაგვხსენებია და ვიდრე საღამოთი "მეორე განყოფილების გარანტია" არ მი-





ვიღეთ ფეხსის მოცვლა არც "გვიფიქრია". ნელ-ნელა აიშალა "დელეგაცია" და გზას დავადექით. გზა ხშირად იორდანის საზღვარს პარალერულად მიუყვება და ეს ყოველივეს თავის რომანტიულ ელფერსა ძენს.

ପ୍ରା ବନ...

და აი ჯერ რამალაპის ზღვის სარკე დავლანდეთ და მალე მდინარე იორდანეს კონტურებიც გამოჩნდა, შეაბიჯებ თუ არა იმ ტერიტორიაზე მრავალენაზე წერილ ოთხთავს ჰყიდებ თვალს და ჩვენდა სასიხარულოდ ქართულსაც ვლანდავთ. მე პირი მოვიპანე და თბაზე ხელი გადავისვი, ბალათერმა კი ჩაყვინთა, უამრავ ტურისტებს შორის გაისმოდა ერთი უიზუივი. "განბანვის შემდეგ" იქვე ამოხეთქილ გოგირდის ტბას მივაშურეთ და უმრავლესობა მოთუხთუხე წყალს გადაეშვა. დრო კი არ მიდიოდა მიკერძა გაჭენებული ულაყივით, სადილის დროამ გამოგვიცხადა ბატონმა პაატამ და ჩვენც ისედაც "მაძლარნი" დავემორჩილეთ. სადილზე ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მე ასეთი გემრიელი თევზი არ გამიშინ-



ჯავს და წამს ბიბლიური თქმულება გამახსენდა ქრისტემ როს თევზით დაპურა ზღვა ხალხი. სადილის შემდეგ პატარას გავიარეთ და რობერტ ადარის კუთვნილ მიკროავტობუსში

მოვიყარეთ თავი, მოვიყარეთ რათა "მეორე განყოფილება", უიმე ბოდიში "მესამე განყოფილება" დაგვეწყო. პატონიპაატასოჯახში გაშლილი სუფრა, არქიტექტურის შედევრივით ელვარებდა და.... და აქაც გამთენიამდე გაისმოდა უფალო ამ ოჯახს მრავალუამიერ სიკეთეს ნუ მოაკლებო და მართლაც ნუ მოაკლებ უფალო-ამინ!



როგორც ადარის სავანე და აშლოდი თქმა მაჟვილი



როგორც კი
შეაბიჯებ რობ-
ერტ ადარის სახ-
ლის კარიბჭეს წამს
თავში მშვენიერი
ქართული სიტყ-
ვა სავანე მოვდის,
დიას სავანე. იქ ის-
ეთი შეხვედრა გე-
ლოდებათ, იმხელა
ყურადღება, ისეთ
გულის სითბოს
დაუვანებია, რომ

უნებლიერ კონფუცის სიტყვები გახსენდება: კაცი ფეხიდან
თავამდე კი არ უნდა იზომებოდეს, არამედ თავიდან ზეცამდეო
და ასეც უნდა არწყვა ეს დიდებული ოჯახი, სადაც სულიერე-
ბა ბატონ რობერტთან და მის გონიერ მეუღლეს ქ-ნ დოდოსთან
ერთად დომინი-
რებს. თავს გევ-
ლებიანო, ხომ
იცით ქართული
გამოთქმა, მაგრამ
არამარტო თავს
შემოვლება გამხ-
დარა ამ ოჯახის
არსობის წესი,
არამედ მისი ყვე-
ლა წევრი მტლად
გედება! ვინც კი





იცნობს ამ დიდებულ ოჯახს, ანდა ერთხელაც კი ყოფილა მათან წამს განისჭვავლება უდიდესი მოწინებით, რადგანაც მოწინება თავად ის მაგნიტია ესეოდენ როს გიზიდავს და მორიდების სინონიმად წარმოგაჩენს. ამიტომ არც გიკვირს რომ მათ ოჯახში საათი წამებისამებრ გარბის და ჩვენც იმ დღეს მისულნი უხმოდ მორჩილნი შევიქმენით. მაგრამ დრო თავისას მოითხოვდა და აშდოდში ქალაქის მერიის საკონფერენციო დარბაზში გველოდა, ქართველ-ებრაელთა საზოგადოებრივი ელიტა(აშდოდში 60000 ათასამდე "ქართველი" ცხოვრობს და ეს მშვენიერი ახალგაზრდა ქალაქი დღითი-დღე უფრო მშვენიერდება). გზად მიმავალთ ცნობილი მომლერალი იუზა მოშიაშვილის შემოგვემატა და ასე ჩავედით იქ. დარბაზში რომ კეთილგანწყობა სუფევდა არ განვევრცობი, მაგრამ ერთს მოკლედ გეტყვით - ეს იყო სიყვარულის სპექტაკლი. სალამო ნანა დავარსა და ნუგზრ ჯანაშვილს მიჰყავდა და როგორც კი სიტყვა



საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გადაეცა დარბაზი სიჩუმემ მოიცვა. ბაღათერ არაბული კი აცხადებს: ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ისრაელში მცხოვრები საზოგადო მოღვაწე, "გულთა კავშირის" პრეზიდენტი აბრაჰამ პაატა იოსები(იოსებაშვილი) დაჯილდოვდა კულტურის ამაგდარის საპატიო წოდებით. ასევე ისრაელში მოღვაწე ქართველი ებრაელი მწერლები, ქართულ -ებრაულ ლიტერატურულ ურთიერთობების განვითარებაში განეული ღვაწლისათვის ჯილდოვდებიან „მადლიერების დიპლომით“. აი ისინიც: ნანადავარი(შაბათაშვილი): ნუგზარჯანაშვილი: გერშენბენ-ირენი(წინუაშვილი): სიმხაადარი: სულოსეფიაშვილი: იზოლდა კრიხელი: თამარმამისთვალოვი: გიამოშიაშვილი: სიმაჯანაშვილი: რაია წინუაშვილი:, ისააკ(ირაკლი) კრიხელი: იზოლდა მოშიაშვილი. შეკრება გვიან ღამით დაიშალა, ოღონდ მანამდე აშდოდის ვიცე-მერმა ბატონმა მოშე ბოთერაშვილმა რომლის განწყობა ჩვენდამი გამოკვეთილად თბილი დ სქმიანი იყო, ქალაქ აშდოდის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით ქათულ-ებრაულ



კულტურულ და საგანმანათებლო ურთიერთობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დააჯილდოვა ბატონი ბალათერ არაბული და ბატონი ნოდარ კობერიძე. მოგვიანებით იგივე ჯილდო თბილისში გადაეცა ბატონ კოტე თავართქილაძეს.



თქმა მერვე



იერუსალიმი, ხაიფა და გამომშვიდობება სადილით-ქართული ტრადიციული...

მიეც კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმერთისა - ბრძანა ქრისტემ და ამ წამიდან საკეისროს მბრძანებლის კვერთხი რომს მიეკუთვნა, ხოლო ზეციური ტახტი იერუსალიმს ერგო. ღროთა განმავლობაში რომი დაემხო ხოლო იერუსალიმისათვის დღესაც გააფრთხებული ბრძოლა მიმდინარეობს. მივყვებოდით გოლგოთის გზას და მართალი გითხრათ ფიქრთა თავი ვითა მქონდა. რაღაც სიმძიმე მხრებზე მაწვერდა.

ბოდა და მთრგუნავდა. და აი ისიც- მაცხოვრის საფლავი. ამ პატარა მოედანზე მილეთის ხალხი ირეოდა და და უზარმაზარი რიგი იდგა. წელნახრილი შევედი იქ, სადაც ერთ დროს, უფლის ნაწამები სხეული განისვენებდა, მირონის სუნი მაბრუებს და საფლავის ქვაზე სანთლები და ჯვრები დავალაგე, ამიერიდან ისინიც ნაკურთხნი და მირონცხებულნი არიან. დიდხანს არ



მაჩერებენ და ვტოვებ იმ პატარა სენაკს სადაც ყოველწლიურად სასწაულებრივი ცეცხლი გადმოდის და იქვე ეზოში ლოდზე ჩამოვჯექი. ხუთიც არაა გასული, რომ რადიო რეპროდუქტორში ომარის მეჩეთიდან, იქ სადაც ადრე სოლომონის ტაძარი იდგა, მოუძინის ხმა იპყრობს არემარეს. უცნაური კონტრასტია დაბლა ხალხი ალილუიას გალობს, ხოლო ზემოდან ომარის მეჩეთიდან, ალაპის სადიდებელი სურები ჩაგესმის და ეს ყველაფერი მშვიდობიანი თანაარსებობის გარემოში, ლამის ერთ გოჯ მიწაზე ხდება. გაოგნებული ვუსმენ და ვუყურებ ამ მისტერიას და რწმენა მიბრუნდება რომ ოდესმე კაცობრიობა აღირაებს იმას, რომ ყველა ერი, გამომდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოტივაციათა გათვალისწინებით ღმერთან თავ-თავიანთი განსაკუთრებული გზით მიდიოდა და მიდის. მაცხოვარი კი ყოველთვის ერთი იყო, თუ გინდა მას ადონაი, ალაპი, ქრისტე ან სხვა რამ უწოდე. გოდების კედელთან ჩავდივართ, შუბლს ვაპყრობ კედელს და ჩურჩულით უფალს ჩემი საქართველოსადმი წყალობასა ვთხოვ! ეს ბოლო საღამოა (ოლონდ მანამდე სიყრმის მეგობარი რეზო ბოთერაშვილი მესტუმმრა, კაცურად მოვისიყვარულეთ ერთმანეთი), ისრაელში ჩვენი ყოფნისა. ხაიფას ვათვალიერებთ, მართლაც წარმტაცია ყოველივე და ნუგზარ ჯანაშვილის



ოჯახისკენ მივეშურებით. დარბაზში სუფრა სპარსული ხალ-იჩასავით ზიმზიმებს, ჩიტის რძეც რაია, ჩიტის რძეც უშოვნია ნუგზარს და იწყება, იწყება ნამდვილი სტუმარ-მასპინძლობის აპოთეოზი. იუზა მოშიაშვილის ბულბულისებური ხმა დაღლი-ლობას გიამებს, კოტე თავართქილაძესთანაც იჭერს ხმის ტემ-ბრს.... ერთი სიტყვით ქეიფია ნამდვილი, ნამდვილი ქართული ქეიფი! ნუგზარ ჯანაშვილიც, ციბრუტივით ტრიალებს და ამის შემხედვარე იფიქრებ კაცი- ამ შესანიშნავი პოეტისა და ესეის-ტის ინტელექტის გარშემო ტრიალებს დღევანდელი საღამოო.... დაწოლილნი არა ვართ რომ მანქანა გვაკითხავს და აეროპორ-ტისკენ ჰერი,ჰერი! განშორების სიცივე შემოგვპარვია, მაგრამ ქალბატონ ლეილა ნოდიას ხმა აბრუნებს სითბოს:-ეს მხოლოდ დასაწყისია და წინ კიდევ უფრო დიდი შეხვედრანი გველია-ნო, უდაოდ უზაკველობას ბრძანებს ქ-ნი ლელილა, მივდივართ რადგან დავბრუნდეთ, მივდივართ რადგან ახლა ისინი გვესტუმ-რენ, მივდივართ რომ მოგვენატროს ურთერთი, ახლა კი ყვე-ლაფრისადმი, რომელიც მართლაც გულის კავშირიდან იწყება დიდი მადლობა!



რაზიუგა თქმა მეცნერი



საქართველოს ისტორიის სანახებში, ჩავლაც არაა საჭირო და ერთი თვალის გადავლებაც კმარა, რომ დაინახო, მას მეგობარი არა ჰყოლია ერთის გამოკლებით და მას ებრაელი ერი ჰქვია. აბსოლუტურად ყვე-

ლამ ვისაც კი გულის კარი გავუდეთ შევიფარეთ, მოვეფერეთ, გავათბეთ გავიდა ხანი და ტერიტორიები მოგვთხოვა. რა ხერხს არ იყენებდნენ -ერთმორწმუნეობაო, მფარველობაო და ვინ მოსთვლის იმ მზაკვრულ გეგმებს ისინი ჩუმად გამალებით როს ახორციელებდნენ საქართველოს დასასუსტებლად, მხოლოდ ებრაელ ერს არ მოუთხოვია ქართული მიწა, ის კი არადა მშობლიურ ენად ქართული გაიხადა და დამწერლობასაც ქართულად ახორციელებდნენ. ეს მაშინ როცა ე ვ რ ო პ ე ლ ი ე ბ რ ა ე ლ ე ბ ი ადიშე მეტ ყ ვ ე ლ ბ დ - ნენ, აზიელი






ებრაელები აშკენაზს ანიჭებდნენ უპირატესობას, ივრითიც ლამის ხელოვნური ენაა და მხოლოდ საქართველოს ყველა კუთხეს მიმოფანტულებს არც კი უცდიათ რაიმე ხელოვნური დაშიფრული ენა შეექმნათ რათა რაღაცნაირად გამიჯნულყვნენ აბორიგენი ერისგან. ისინი თავიანთ წარმომავლობას თავინთი რელიგიის ერთგულებით უსვამდნენ და უსვამენ ხაზს. მათ შეისისხლორცეს ქართული ტრადიციები, სამეტყველო ენა და ასე დროთა განმავლობაში გადაიცნენ—"ქართველ ებრაელებათ!", იმ ქართველ ებრაელებათ, ადონაის საქართველოს გამარჯვებასც რომ სთხოვდნენ. ასე იყო 26 საუკუნე და როცა დიდი ალია დაიწყო, მათ თან წაიღეს თავიანთი ქართველობა რითაც გააოცეს მრავლის მნახველი თანამოძმენი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმ ხანმოკლე ვიზიტისას, ვიზიტისას, როცა თავი საქართველოს გვეგონა. მათმა სურვილმა ენახებინათ ჩვენთვის ძველი და ახალი ისრაელი, (რომლითაც სამართლიანად ამაყობენ) შეუძლებელი შეგვაძლებინა-დიას ჩვენ ვნახეთ ისრაელი ეს პირმშო უფლისა და მშობელი ქრისტიანობისა და ისლამისა! ამავე დროს. ისინი სამართლიანად ამაყობენ ახალი ისრაელით და ირიბად ყოველთვის გვაგრძნობინებენ და ხაზის გასმასაც არ ერიდებიან და ერთგვარი გულჩანყვეტით მარად მიგვანიშნებენ-ჩვენ აქ უდაბნოში ოაზისი სახელმწიფო შევქმნით და თქვენს დალოცვილ მიწა- წყალზე უკვე დიდი ხანია სამოთხე უნდა აგეშენებინათო. ამას მეც ვხვდებოდი და გული მეთუთქე-

ბათ!", იმ ქართველ ებრაელებათ, ადონაის საქართველოს გამარჯვებასც რომ სთხოვდნენ. ასე იყო 26 საუკუნე და როცა დიდი ალია დაიწყო, მათ თან წაიღეს თავიანთი ქართველობა რითაც გააოცეს მრავლის მნახველი თანამოძმენი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმ ხანმოკლე ვიზიტისას, ვიზიტისას, როცა თავი საქართველოს გვეგონა. მათმა სურვილმა ენახებინათ ჩვენთვის ძველი და ახალი ისრაელი, (რომლითაც სამართლიანად ამაყობენ) შეუძლებელი შეგვაძლებინა-დიას ჩვენ ვნახეთ ისრაელი ეს პირმშო უფლისა და მშობელი ქრისტიანობისა და ისლამისა! ამავე დროს. ისინი სამართლიანად ამაყობენ ახალი ისრაელით და ირიბად ყოველთვის გვაგრძნობინებენ და ხაზის გასმასაც არ ერიდებიან და ერთგვარი გულჩანყვეტით მარად მიგვანიშნებენ-ჩვენ აქ უდაბნოში ოაზისი სახელმწიფო შევქმნით და თქვენს დალოცვილ მიწა- წყალზე უკვე დიდი ხანია სამოთხე უნდა აგეშენებინათო. ამას მეც ვხვდებოდი და გული მეთუთქე-

ბოდა და თან ვამაყობდი თანამოძმეებით, რომელსაც ირგვლივ (ჩვენი არ იყოს), არაკეთილმოსურნეთა ალყა არტყია და ის მაინც შეუპოვრად დგას და თავიანთი სახელმწიფოს გულისათვის კაცი თუ ქალი სიცოცხლეს ისე გასწირავენ, რომ თვალს არ დაახამხამებენ და სწორედ მაგაშია ამ ერთი ციდა სახელმწიფოს უძეველობის საიდუმლო და ვენაცვალე მათ! ჩემთვის კი ვფიქრობ ალბათ ოდესმე, ჩვენც წამოვიმართებით, ვისწავლით მტერ-მოყვარის გარჩევას, არ დაგვეზარება შრომა და რაც მთავარია შევიგნებთ - ჩვენი ქართველობის გადარჩენის გასაღები სახელმწიფოს სიყვარულშია...

ვაშა და დიდება ებრაელ ერს და ვაშა და დიდება ქართველთა სახელმწიფოებრიობას, რომლის გარეშე საქართველოს გადარჩენა ვით უწერია

და სულ პოლო თქმა-პირმან!



ებრაელი ერის და მათი რელიგიის იუდაიზმის, პირმშოა ორი მსოფლიო რელიგია ქრისტიანობა და ისლამი. სწორედაც ხომ იუდაიზმის წიაღში იმვა სამი წმინდათა- წმინდა წიგნი-თორა, ბიბლია და ყურანი, რომელნიც თავის მხრივ იდეოლოგიური საფუძველი გახდნენ ახალი ცივილიზაციების წარმოშობისა და ხომ მათი მეშვეობით მოხდა ეგვიპტის მისტიკური სიკვდილის ცივილიზაციის განდევნა, ანტიკური კერპთაყვანის მცემლობის დამარცხება. კაცობრიობის დიდმა წაწილმა კი უმადურობით და დევნით გადაუხდა მადლობა ამ ერს, რომელთა ღმერთთან კავშირმა მათ გონი გაუნათა და აგერ უკვე საუკუნეებია რაც ბიბლიაზე და ყურანზე იფიცებენ, შიგ წერილი ციტატებით ხელმძღვანელობენ, ომებს იწყებენ და ზავს აფორმებენ, უყვართ და ოჯახებს ქმნიან და რა მოსთვლის იმას რაც სიკეთე-



ნი მოუტანია და მომავალშიც მოიტანს ესე წიგნები, წიგნები, რომელიც ადამის მოდგმის უმრავლესობის ცხოვრების კატეხიზმოდ იქცა. არადა ჭკუათნალრძობი ფანატიკოსები, ეძებენ ამ წმინდათა-წმინდა წიგნებში იმას რაც არ წერია და არც შეიძლება ენეროს იქ, ისინი კი მაინც პოულობენ (კომუნისტები და ფაშისტები ეს დემონთა პირმშობი, თავიანთი მახინჯი იდეოლოგიების ძირძველ ფესვებს ხშირად აქ ამოჩიჩქნიან ხოლმე) და ადამიანებს სისხლი აპანოებს უწყობენ, მაგრამ ასე სულ ვერ გაგრძელდება- კაცობრიობა თავის თავში აუცილებლად იპოვნის ძალებს, რათა დაამარცხოს, განდევნოს სიბნელე. ბიბლიაში ხომ წერილ არს: „და ნათელი იგი- ბნელსა შიდა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია!“ -და ასეც იქნების და არ გამიკვირდება თუ აქაც გადამწყვეტ როლს ებრაელი ერის გენია შეასრულებს! ახალი ცივილიზაციის- მონოთეიზმის პირმშოს ჯერ კიდევ ბოლომდე არ შეუსრულებია ის მისია რომელიც უფლისგან აქვს დაკისრებული!

ისრაელი-საქართველო 2018 წელი



ეპრაელი ერი-ქართველი ერი

ებრაელი ერის, დამკვიდრებული სტერეოტიპი ამ ხალხისა, წამს ქრება, როგორც კი თუნდაც ზერელედ გადაავლებ მის ისტორიას, ეთნოგენეზის, მის მებრძოლ სულსა და შეუდრეკელობას. ამ ხალხს უფალმა ზღვა გაუპო, და ათი მცნება ამცნო, რადგანაც მათში შეიცნო ნებელობის ძალა, რომელიც საუკუნეებს გაუძლებდა და მის რჩეულ ქალაქს იერუსალიმს, აუცილებლად დაიბრუნებდა და ასეც მოხდა. მათ წიაღში იშვა ორი მსოფლიო რელიგია:ქრისტიანობა და ისლამი, მაგრამ ამან წამითაც ვერ შეარყია მათი რწმენა, რომ მაინც ისინი იყვნენ მესიანიზმის მატარებლები. ხოცავდნენ, ამცირებდნენ, ავინწოებდნენ, ისინი კი მაინც ყოველ შეხვედრას ერთი ფრაზით ამთავრებდნენ-მომავალ წელს იერუსალიმშიო და ასე გრძელ-დებოდა საუკუნეები, და ამ საუკუნეებში ვინმესთვის რომ გეთქვათ საბოლოოდ იერუსალიმს ებრაელობა დაიბრუნებდა(მათ ხომ ამ ქალაქში ცხოვრებაც აკრძალული ჰქონდათ და მხოლოდ წელიწადში ერთხელ ჰქონდათ უფლება მისულიყვნენ გოდების კედელთან რათა ღმერთან ესაუბრათ). დიდ ფანტაზიორად თუ არ ჩაგთვლიდა, ყოველ შემთხვევაში,ირონიით მაინც გადმოგხე-დავდა. არადა ვინ არ ფლობდა ამ ქალაქს - ბაბილონელებიო, ეგვიპტელებიო, არაბებიო, ჯვაროსნებიო... (გიორგი ბრწყინვა-ლეს დროს ხომ ქრისტიანთაგან მარტო ქართველებს ჰქონდათ უფლება - ცხენზე ამხედრებულთ გაშლილი დროშებით შესული-ყვნენ ამ წმინდა ქალაქში), მაგრამ გავიდა დრო და ექვსმა მილ-იონმა ებრაელმა შეაბიჯა კრემატორიუმში რათა მოეპოვებინათ მორალური უფლება, რომ ეს ქალაქი კვლავაც მათი გამხდარი-ყო. ექვსი მილიონი, ექვსი მილიონი სიცოცხლე გადაიხადეს მათ ამაში და აღტაცება და მუხლის მოდრეკა მათ!

რატომ მოვყევი ეს ამბავი, რატომ და მინდა ქართველობას(რომლებზეც რუსებმა შექმნეს ერთი დამაკნინებელი სტე-რეოტიპი-არაფრის მაქნისისა) კიდევ ერთხელ შევახსენო, გამარჯვება უმსხვერპლოდ არ მოდის და რაც უფრო დიდია გამარ-

ჯვების პრიზი უფრო დიდი იქნება მსხვერპლი და ჩვენ ცხრა აპრილის, აფხაზეთის ომში და სამაჩაბლოს ომში დაღუპულთა გმირთა ქმედებების რევიზია კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ მათი სახელები ყოველდღიურად უნდა განვადიდოთ და ყველა ქართველისთვის სათაყვანებელი გავხადოთ, რათა მზად ვიყოთ იმ დიდი მსხვერპლის გასაღებად, რომელიც ქართულ სახელმწიფოს თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში კიდევ არაერთხელ მოუწეს და თუ ჩვენ ამ განსაცდელს შინაგანად მზად, ერთიან პოლიტიკურ სუბსტანციად ჩამოყალიბებულ ერად არ შევხვდით, მაშინ სჯობია თეთრი დროშა ავაფრიალოთ(როგორც ამას გვირჩევენ კოლაბორაციონისტები), და არამარტო აფხაზეთი და სამაჩაბლო არამედ მთელი საქართველო ფიანდაზად გავეგოთ, ვიცეკვოთ, ვიმღეროდ და სამუდამოდ დავიკინავოთ(სუფრის გარდა), რომ ოდესმე ერი ჩვენცა ვყოფილვართ და ირუსალიმს გაშლილი დროშებით ამაყად შევდიოდით! კრემლიდან „კეთილიმოსურნეები“ სიამოვნებით გაგვიჩახჩახებენ იმ გზას რომელსაც სრული დემორალიზაცია ჰქვია. ასეთი, თუნდაც მაძლარი საქართველო, მე არ მინდა და ვისაც ჩემსავით არ უნდა, მარად წინ უნდა ედოს ებრაელი ხალხის გმირობის მაგალითი, მაგალითი, რომელიც შიშის ზარს სცემს მთელ ახლო აღმოსავლეთის ნავთო-დოლარებით გაზულუქებულ მილიონიან არმიებს!.



პიპლიური თქმულების ერთგვარი ინტერპრეტაცია

ყველამ იცის ბიბლიური თქმულების თანახმად აპრამს თავისი შვილი ისაკი, მსხვერპლად უნდა შეენირა უფლსადმი და მართლაც მოამზადა ეს გაუსაძლისი აქტი, აიღო დანა შემართა, მაგრამ ამ დროს უფლის მიერ გამოგაზავნილმა ანგელოზმა შეაჩერა იგი, ღმერთის წყალობა აუწყა და ისიც დაამატა რომ აგერ ეკალ-ბარდებში გახლართულ ვერძის შეწირვასაც მიიღებდა უფალი. აბრამა შეასრულა უფლის ნება და ბედნიერი ჩაეხუტა შვილს. თეოლოგები ამას ხსნიან იმით რომ ღმერთს აბრაამის ერთგულება უნდა შეემოწმებინა. ესე ახსნა აკნინებს პირველ რიგში უფალს. როგორ განა ყველაფერი მისი შექმნილი არ იყო და რასაც ბრძანებდა ისე არ იქნებოდა, მით უმეტეს იგი ხომ ყველა ადამიანის სულში იხედება და კარგად იცის ვინ-ვინაა. ამიტომ ასეთი გამოცდა ცოტა არადამაჯერებლად უღერს. მაშინ იგი რა უფალი და არსთა გამგებელია თუკი მას სისხლი სწყურია- თუნდაც უბრალო ბეკეკასი, ეს ხომ მას უფლის შარავანდედს აცილებს და უბრალო კერპად ქცეულ მოკვდავს ხდის, რომელსაც სურს ქვეშერდომებიდან ხარკიც აიღოს და თანაც ეთაყვანებოდნენ მას, მაგრამ ღმერთი ხომ აბსოლუტური სიკეთე და სიყვარულია და როგორ შეიძლება ისედაც თაყვანისცემულს უბრალო მოკვდავთა თაყვანისცემის ცდუნება ჰქონდეს მას. ეს ხომ წარმოუდგენელია. ჩემის აზრით მოცემულ ამბავში ღმერთი თვალნათლივ აჩვენებს აბრაამს თუ ადამიანს რამდენი განსაც-დელი, რამდენი "მსხვერპლთშეწირვა" მოელის წინ და იგი ამის-ათვის მზად უნდა იყოს და მედგრად გადაიტანოს ის დარტყმები, რომელიც ადამის მოდგმას მოელის ედემის ბალიდან წამოსვლის შემდგომ. აქ ჩანს თუ რაოდენ გულმოწყალეა უფალი ადამის მოდგმის მიმართ, რომ აფრთხლებს უმწვავესი გამოცდით რეების გადატანა მოუწევთ უფლისადმი ურჩობის გამო და ამ მიუსაფარ სამყაროში მარტოცაა და ამიტომ ეცოდება ღმერთს იგი და

მართლაც თუ გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას ეს ერთი დიდი სერიალია ადამიანის ტრაგიკული და დაუნდობელი ცხოვრებისა, რომელთანაც თვით ისაკის შენირვა ფერმკმთალდება, კაცობრიობას კი არადა არ სურს გონიერება მოსვლა და საქმე იქმდე მიჰყავს, რომ თავისთავს ალბათ აუტოდაფესაც მოუწყობს. აი სულ რისი თქმაც მინდოდა. ეს ჩემი მოსაზრებაა და მას არა აქვს პრეტენზია მსოფლიო ჭეშმარიტებაზე.

თანამედროვეობა და მასონები

ხშირად გაიგონებთ: მსოფლიოს მასონები მართავენ და მათი მსხვერპლი ვართ კაცობრიობაო. ლამის სატანისტებსაც კი ადარებენ, მე კი პირდაპირ ვეტყვი მათ-ცდებით, ძალიან ცდებით. ახლა არ მოვყვები მთელს ისტორიას, ვიტყვი მხოლოდ რომ მასონობის იდეა გამომდინარეობდა ერთში, უკეთესად მოწყობილიყო ადამიანთა ცხოვრება. დააკვირდით მათ სიმბოლოებს: პირამიდა, ფარგალი, საკალატოზო ხელსაწყოები და სხვანი და სხვანი, მაშასადამე ყოველივე ის რაც შენებასთანაა დაკავშირებული. მასონი ვერ გახდებოდი თუკი შესაფერისი განათლება არ გქონდა მიღებული, მათ ღმერთი მიაჩნიათ სამყაროს უმაღლეს არქიტექტორად და ისინი თვლიან რომ მას უნდა დაეხმარონ სამყაროს უკეთესად მოწყობაში. მაშ რაშია საქმე იკითხავს გულუბრყვილო მკითხველი, რატომ აგინებენ და რატომ აშინებენ მათით ხალხს, პასუხი მარტივია-ყოველივეს ძირის-ძირი გავლენის სფეროების გადანაწილება! ძირითადად ეს ხდება- რელიგიებსა და სხვათა დიქტატორულ-ფაშისტურ-ბოლშევიკური სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის. მასონები კი მათი პირველი ხელისშემშელნი არიან. რაც უფრო გაუნათლებელია ადამიანი, მით უფრო ადვილი სამართავია და დასამორჩილებელია იგი, ხოლო მასონები ძირშივე ებრძოდნენ გაუნათლებლობას. ახლა ჩამოვთვლი ზოგიერთ ქართველ მასონებს და თქვენ თავად განსაჯეთ ბოროტი ძალებია თუ თუ სამშობლოსათვის ზრუნვაში ჩაფერფლილები: გრიგოლ ბატონიშვილი, კიტა აბაშიძე, კარლო ჩხეიძე, გიორგი გვაზავა, ნოე რამიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ნოე უორდანია, სპირიდონ კედია, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, მიხეილ თამარაშვილი და კიდევ მრავალი გამოჩენილ მამულიშვილი. რა თქმა უნდა არც ისე მარტივადაა საქმე როგორც ვთქვი, მაგრამ ჭორი რომ ისინი ებრძვიან ქრისტიანობას, მტკნარი სიცრუეა, პირიქით ეს მოძრაობა მის წილში წარმოიშვა და ვიტყვი მეტსაც, ისინი რეფორმაციის

სათავეებთან იდგნენ. დღევანდელი მასონები კი საკმაოდ და-სუსტებულ, დაქსასულ ძალას წარმოადგენენ და მათი გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე ძალზედ მცირეა (მასონური მოძრაობის აყვავების ხანას წარმოადგენდა მეცხრამეტე საკუნე), ამჟამინდელ მსოფლიოს დახურული კლუბების სახით მართავენ ფინანსური მაგნატები და პოლიტიკოსნი, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. ჩემი რჩევა იქნება განათლდით, იყითხეთ და ვერავითარი შავი ძალა ვერ შეძლებს თქვენს დათრგუნვას. აი სულ რისი თქმა მინდოდა, ახლა კი არჩევანი თქვენზეა, გინდათ მაგინეთ და გინდათ წიგნებს ჩაუჯექით. p.s ვინმემ შეიძლება მეოცე საუკუნის სამოციან წლებში იტალიური მასონთა ლოუის p-2 სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დამისახელოს, მაშინ ლამის მთელი იტალია მაფიის ხელში იყო და მათი მცდელობაც იტალიის ხსნას წარმოადგენთა ამ ავბედითი კრიმინლური სინდიკატიდან!



სიკვდილის ფიცილიზაცია

ესე

ის რაც ეგვიპტიში დავინახება და ...

ეგვვიპტე, ქვეყანა სადაც ყოველი კუთხიდან "სიკვდილის ფიცილიზაცია" გალივერებს. ეს დიადი ქვეყანა, რომელსაც იდეოლოგიად სიკვდილისთვის მზადება ჰქონდა, დღეს, გარდაცვლილი ცივილიზაციის სუვენირების სამშვენისად ქცეული, კვლავაც გატყვევებს, გატყვევებს და სამყაროს ბადრაგი- მისი გრავიტაცია, შავი ხერელის გრავიტაციასი არ იყოს- შენს შესრუტვას ლამობს. აქ ადამიანი ამ სამშვენისების ლანდს გაგონებს და მიცვალებულთა ოშეიგარი აშკარად თრგუნავს ცოცხლებიდან გადმოსულ დუჟს ოფლის სახით რომ გადმოდინების. ყოველი ჭუჭრუტანიდან გარდაცვლილი ღმერთები როს გითვალთვალებენ. ამას აშკარად შეიგრძნობ და ამ "გუშინდელთა" თვალთვალში უცბად გამოანათებს დიადი, დიადი რომელსაც პირამიდები ქვიან! მისი პირველად დამნახველი აშკარად შეიგრძნობ გრავიტაციის ყოვლის მომცველ თრგუნავს და ცაში აზიდულთ ეკითხები, მანდ რომ ამოვიდე....მაგრამ დამთავრებული არა გაქვს ფიქრთა სრბოლა, რომ სფინქსის ბდლვინვა ძირშივე ახშობს "მკრეხელურ ფიქრებს" და თავშიც ვითარცა ჩამოშლილი ლოდნი ისე გირახუნებს და ხვდები ტუსალი ხარ, ტუსალი ხარ იმ დღეცისმარისა, ღმერთებს რომ მოუსჯია შენთვის. ამ ფიქრების გადატანას და მათ გააზრებას სუფთა ფურცელზე ნურც შეეცდები, რადგანაც ყოველ ასოს პირამიდების ლოდთა სიმძიმე შეუძნია და ისეთი გრუხუნით ეშვებიან და იფანტებიან სუფთა ფურცელზე თითქოს მართლაც და უდაბნოში ყოფილხარ და ეს სუფთა ფურცელი და იქ მიმოფანტული ლოდები სინონიმია შენი უდაბნოდ დამონებული სიცოცხლისა და.....

და ნებდები! ნებდები რა წამს ჩაგესმის სამშვენისთა სუვენირებს როს ეძახიან, ხითხითი და ხვდები შენც "სამშვენისი" ხარ ამა ქვეყნის, იმ დიადის ხელში დედამიწაზე ჩადენილი ცოდვე-

ბისათვის რომ გამუგზავნიხარ- იმ ასე ნაცნობს და ასე უცნობს, რომელთანაც "სიკვდილის ცივილიზაციას" უნდა დაეკავშირებინე, მაგრამ ვერ გაუგეთ ერთმანეთს და დაიკარგა ის ძაფიც, რომელიც შენს ჩაბინდულ ცნობიერებას რომ უნდა ჰქონოდა მასთან.აი....

აი ახლაც ჩემი კომპიუტერის ეკრანზედ თვალნათლივ ვხე-დავ მათ გრუზუნით ჩამოქცევას და....

ნეტავ რაა იქ არაცნობიერში მიძინებული, ხანდახან მიწისძვრასავით რომ შეინძრევა, ხოლმე და ვულკანივით ამოხეთქილი რაღაცას მახსენებს და რას ეს რომ ვერავის გაგვირკვევია, ჩვენი მეხსიერბის ფირსაც საგულდაგულოდ დარაჯობს მისი მსორე ბადრაგი, რომელსაც გადავიწყება ჰქვია.

გმადლობთ პირამიდებო, გმადლობთ ფარაონთა და ქურუმთა სულებო, რომ შემაჭვრიტეთ ეს ერეტიკოსი იქ სადაცაი კვლავაც იშლებიან უდაბნოს თეთრ ფურცელზე ჩემი ნაშენი პი-რამიდათა ქვები და ასე იქნება მარადის, ვიდრე.....



სარჩევი

პირმშო	3
ებრაელი ერი -ქართველი ერი.....	31
ბიბლიური თქმულების ერთგვარი ინტერპრეტაცია.....	33
თანამედროვეობა და მასონები	35
სიკვდილის ცივილიზაცია- ესსე ის რაც ეგვიპტეში დავინახე და...	37

რომ არა უკვე ცხრა წელი შვიცარიაში მოღვწე, ერთი დიდ-ბუნოვანი, კეთილშობილი ქალბატონის ძალისხმევა, რომელსაც ეთერი ზაქარიაძე ჰქვია, ეს წიგნი ძვირფასო მკითხველო ხელთ არ გეპყრობოდა. მოდით ერთად გადავუხდოთ მადლობა ამ არაჩვეულებრივ ქალბატონს და ვუსურვოთ ზენარმა მისი ხელიდან მადლის გაცემა არ დაშრიტოს- მადლობთ ქალბატონო ეთერი!

THE FIRSTBOM
PUBLICISM
NODAR KOBERIDZE



ნოდარ ქობერიძე მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი-საზოგადობათმცოდნე, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქეთანიძის, დავით აღმაშენებლის პრემიების დაურეატი. ავტორი ნიგნებისა: თეორი დიმილი; ფოკეს ბედის ნებიერი; ბედისწერა საქართველოსი?; ნყალდაფობა; ლახტის წრეში; ასლან აბაშიძის პიროვნება; ვინც მახვილს აიღებს; რომ გაიმარჯვო ერეტიკოსი უმდა იყო; მეორე ფორმა; ორი გოლგოთა; აღდგომის დამეტებითი, მამლუქთა სასაფლაოზე; შირე გორჯის საფლავის მიებაძი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სადიპლომონი ნამრობის ნაპოლეონის ასი დღე. შემაობდა თბილისის -ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში-მეცნიერ თანამშრომლად; დავით აღმაშენებლის საზოგადოების პასუხისმგებელ მდივნად; საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსად. კითხულობდა ლექციებს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. გამოცემდა და რედაქტორობდა გაზტოვებს: - „ქართული ფეხბურთი“; „თემი“; „სარანგი“, „აღმაშენება“; „მესამე ათასწეული“; „აღმაშენებელი“. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ოლიმპიური კომიტეტის სპორტულ უურნალისტთა კავშირის თანადამცუქნებელი. და დავით აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი-თანადამცუქნებელი; კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი თანადამცუქნებელი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ფრანგულ, რუსულ და სხვა ენებზე.

